



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 24 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №74/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 22 აპრილის №74 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 მაისის №227/74-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 4 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით. აღნიშნული განაჩენი უკანონოა, რაც დადასტურდა სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით, რომლითაც მსჯავრდებული -- -- გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მსჯავრდებაში; მისი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოავლინა აშკარა მიკერძოება და ინტერესი საქმის შედეგის მიმართ, რაც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას. მოსამართლე -- -- განაჩენის 4.7 პუნქტით უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნო -- -- და -- -- დამნაშავედ ცნო თაღლითობაში, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დიდი ოდენობით დაუფლებაში მოტყუებით. საჩივრის ავტორის აზრით სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ იკვეთება დანაშაულის შემადგენლობა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 31 იანვრის განაჩენით -- -- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით.

2018 წლის 23 აპრილს -- -- №112 საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

-- -- 2018 წლის 23 აპრილის №112 და 2019 წლის 22 აპრილის №74 საჩივრები შეიცავს იმავე საფუძველს და ეხება იმავე მოსამართლეს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

დისციპლინური საქმეზე №74/19 (-- -- 2019 წლის 22 აპრილის №74 საჩივარი) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე საფუძველით გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის გამო), არსებობს მოსამართლე -- -- - მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძველით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის მე-3 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 22 აპრილის №74 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი